საქართველო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 27 8

04/05/2020

„ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის N27 4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის N27 4 განკარგულების დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე